

საქართველოს  
საბჭოთავო  
კულტურის

**№6**

25 თებერვლ.  
1931 წ.  
ფასი 10 კპ.

# ნაშრომი



საქართველოს  
საბჭოთავო  
კულტურის

საქართველოს  
საბჭოთავო  
კულტურის  
საქართველოს  
საბჭოთავო  
კულტურის

**ბაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს**



—ათი წელი... გაყვლა წელი.

# ა თ ი ნ რ ი ს

ხალხური თქმობებია: „კარგ ბიჭს კოჭებში შეეტყო-  
ბა“.

განა თავიდან არ ეტყობოდა, რა შვილი იქნებოდა  
დემოკრატიული საქართველო?

მასსოც 1918 წელი: დაიბადა თუ არა ის, მენშევიკე-  
ბი სიხარულისაგან „ცას ხელით წვდებოდნ“.

— აბა ვნახოთ, ვინ ვის აჯობებს: ჩიკნი, დემოკრატი-  
ული საქართველო, თუ მათი საბჭოთა რუსეთიო.

მე კი გულში მეციხებოდა: ალბათ თვალები დაბრმა-  
ვებით და ველარ ხედავენ მაგ უბედურები, რომ უღლე-  
ური ბავში დაბადებით!

როცა ახალდაბადებულს შეეხედე, მაშინვე ვთქვი და  
ჭირისუფალითაც განუტყავდე:

— უმჯობესი იქნებოდა, რომ არ დაბადებულყო;  
სულერთია, ხანმოკლე ცხოვრება ექნება!

ჩემი წინასწარმეტყველობა სავსებით გამართლდა:  
დემოკრატიულმა საქართველომ ძლივსა სამი წელი იცო-  
ცხლა. თუმცა რაღა სიცოცხლე იყო მისი სიცოცხლე: არც  
ცოცხალს გავდა და არც მკვდარს. ჩემი წინასწარმეტყვე-  
ლობა გამოწვეული იყო არა „ღვთიური შთაგონებით“,

არამედ ის ემყარებოდა მეცნიერულ საფუძველს. ახალდა-  
ბადებული რახიტანი ბავში გამოდგა, ანუ, როგორც სო-  
ფლად იტყვიან ხოლმე, „უღლეური“ იყო. ხერხემლის  
ძვალი ბავში დაკვანჩული ქონდა. მისი ჭირისუფალნი  
(ქართველი თავად-აზნაურობა, ინტელიგენცია, ვაჭრები  
და მიწათმფლობელები) იმედს არ კარგავდნ ბავშვის გაჯა-  
ნსაღებაზე. ისინი ევროპიდან „საუკეთესო“ (მათი აზრით)

და ცნობილ „ექიმებს“ იწვევდნ, რომლებიც სიამოვნებით  
მორიოდნ ჩვენს ქვეყანაში არა რახიტის მოსარჩენად, არა-  
მედ სულ სხვა მიზნით, — ჯიბეების გასჭელებისათვის. ექი-  
მები ინახულებდნ ბავშვს, გასინჯავდნ, გამოაწერდნ  
რაღაც „უებარ“ წამალს, რომელსაც ეწოდება „სამსახური  
იმპერიალიზმისათვის“ და უკან გაბრუნდებოდნ.

უღლეური დემოკრატიული საქართველო კი დღითი-  
დღე სულს ლაფავდა და სამი წლის შემდეგ მან სამუდამოთ  
განუტყვა სული.

ჭირისუფლებმა გამოიტირეს თავისი საყვარელი და  
ერთად ერთი ნუგეში პირმშო შვილი.

1921 წელს 25 თებერვალს, ჩვენში დაიბადა საბჭოთა  
საქართველო, რომელსაც უბრალო თვალთ შეამჩნევდით  
სასიციო/ხლო ნიშნებს. ერთი კვირის ბავში ერთი წლის გე-  
გონებოდათ.

ერთი წლის რომ იყო, მას ვერც ერთი ფალავანი ხელს  
ვერ მოკიდებდა.

გაუბედურებულ დემოკრატიულ საქართველოს ჭირი-  
სუფალთ არ სჯეროდათ საბჭოთა საქართველოს სიჯანსა-  
ღისა და მისი ხანგრძლივი სიცოცხლის.

— მისი მშობლები ვინ არიან, რომ შვილი კარგი გამო-  
დგეს! (მშობლებათ მშრომელ მასას გულისხმობდნ) —  
აიმედებდნ ისინი ერთმანეთს.

იმედი არ გაუმართლდათ. მტრები გულზე სკდებოდნ  
და ერთხელ კიდევ დაადგინეს მისი თავიდან სამუდამოდ  
მოშორება. როცა საბჭოთა საქართველო მეთხე წელიწა-  
ლში გადავიდა მტრები თავს დაესხნ მას და მოინდომე-  
ნ მისი მოკვლა, მაგრამ ველარ მოახერხეს და „კოვზი ნაცა-  
რში ჩაუვარდათ“. ახალგაზრდა საბჭოთა საქართველომ  
ღროზე შეამჩნია ბოროტგამზარბეგლები, იარაღი ახადა  
მათ, ყურები მაგრად აუწია და პანლური ამოკრა.

მას შემდეგ განვლო ექვსმა წელმა და დღეს საბჭოთა სა-  
ქართველოს ათი წელი შეუსრულდა. მისი ჭირისუფალი  
მშრომელთა მასა აღტაცებით ეგებება ამ დღესასწაულს.  
ის ამყობს მისი პირმშო შვილით, რომელიც მის სურვი-  
ლებს ასრულებს და შეუწელებელი ტემპებით აშენებს სო-  
ციალიზმს.

უშუბარა

2

## ზრკოლა ამიერ-კავკასიაში

ნახ. ქოქიაშვილის



მინშევიკების დროს



ახლა

და

# რას მოგვიპა დაჰითაო...

გემი „რესპუბლიკა“ რომელიც საფრანგეთიდან მოემართებოდა საქართველოსაკენ, გაუსწორდა ნორიოს ტბას. გემზე მგზავრების უმრავლესობას შეადგენდნენ ცნობილი ემიგრანტები: მანთაშოვი, ლიანოზოვი, ასადულაევი, ნაგიევი, ჯაყელი, იოსებ დადიანი და სხვები,—ნოე ჟორდანიასა და სხვა მენშევიკების მეთაურობით.

მგზავრები, რომლებიც განუწყვეტელ ქეიფში და დროსტარებაში იყვენ გართული გემის რესტორანში, საყვირის ხმაზე გამოეფინენ გემის ჩარდახზე და ცნობის მოყვარეობით ათვალეირებდნენ ბათომის მიდამოებს.

ყველა მათგანს სახეზე ცხადათ ემჩნეოდათ გაკვირვების გამომეტყველება, როდესაც ყველაფერს რიგზე ხედავდნენ: ბალი თავის სწორი და გრძელი ხეივანი, კოხტათ მოსხანდა ზღვის ნაპირის გასწვრივ; გიმნაზიის და ციხის შენობები ძველებურათვე იდგენ თავიანთ ადგილას; წარმოიდგინეთ თქვენ, რომ სამხედრო ეკლესიის და აზიზიეს მეჩეთის გუმბათებიც კი თავთავიანთ ადგილებიდან გამოიყურებოდნენ.

ნავთსადგურის ბაქანზე თავმოყრილი ხალხი აღტაცებული ჟრიაშულით და სალამით მიეგებენ გემით მოსულეებს. ზოგი მათგანი ხელში საქანაოთაც კი აიტაცეს.

ნოე ჟორდანიას მეტიც მეტი სიხარულით გული წაუვიდა და მის მაგიერ მისასალმებელი სიტყვების საბაუხოთ ვლასა მგელაძე გამოვიდა.

რკინის გზის სადგურამდე მიაცილა ხალხმა მოსულეები, რომლებიც მათთვის დამზადებულ საგანგებო მატარებელში ჩასხდნენ და გაემართნენ თბილისისაკენ.

მხოლოდ რამოდენიმე მათგანი შეჩერდნენ ბათუმში დროებით, რომელთა შორის იყვენ შემოსენებული ნავთის მრეწველები. სხვათა შორის ბათუმშივე დარჩა ერთი ბარცხანელი მცხოვრები, მენშევიკი დათიკო ელიაძე.

ნავთის მრეწველები გაემართნენ თავიანთი ქარხნების დასათვალეირებლად, ელიაძე კი წავიდა ბარცხანაში თავის სახლში, რომელშიდაც მას ერთ დროს არალეგალური სტამბა ჰქონდა გამართული.

როდესაც მრეწველები მივიდნენ იმ ადგილს, სადაც თავიანთი ნავთის ქარხნები ეგულებოდათ, მათ მწუხარებას სასლვარი არ ჰქონდა: ბოლშევიკებს აქ მათი ქარხნების ნაკვალევიც კი არ დაეტოვებიათ.

მაგრამ ცოტა მიმოკითხვის შემდეგ გამოარკვიეს, რამ ქარხნები ბარცხანაში იყო გადატანილი, საითაც საჩქაროთ გაემართნენ ისინი.


აქ მისვლასას კი მათ გაკვირვებას აღარ ჰქონდა სახლვარი, ვინაიდან თავიანთი ძველი ქარხნების მაგიერ თვალწინ წამოეჭიმათ უზარმაზარი ახალი, ტენიკის უკანასკნელი სიტყვით გამართული ქარხნები.

შეუქლებელი იყო მათთვის იმის გამოცნობა, თუ ყის რომელი ქარხანა ეკუთვნოდა. ამის გამოცნობაში გაიმარაა მათ შორის კამათი და ცილობა, რაც ჩქარა გადავიდა ხელჩართულ ჩხობზე.

ამ დროს იქვე აღმოჩნდა თავისი ქოხის მაძიებელი დათიკო ელიაძე, რომელიც ჩაერია საქმეში მოჩხუბართა გასათიშავათ.

როგორც ხშირათ ხდება ხოლმე ასეთ შემთხვევაში გამთიშავსაც მოხვდა გვერდებში მოჩხუბრების რამოდენიმე მჯილი და დათიკომ მწვავე ტკივილი იგრძნო. ის მსწრაფლ გამოეთიშა მოჩხუბრებს და... ტახტიდან იატაკზე ბრაგვანი მოადინა. გამოღვიძებულს ქუჩიდან ჟრიაშული შემოვსმა, წამოვარდა ზეზე და ფანჯარას მიამურა: თურმე საქართველოს გასაბჭოების ათი წლის თავის აღსანიშნავი საზეიმო დემონსტრაცია მიმდინარეობდა...

ს.თ-ია



3


# ათი წელი

(მიზამა აკაკისა)


ათი წელი, მწარედ მწველი,  
 ჰკლავს მენშევიკს კითხვა ძნელი,  
 რომ „საბჭოთა საქართველო  
 დაინგრევა „უეჭველო“!..  
 მაგრამ გადის ათი წელი  
 და რას ხედავს? უფრო ვრცელი,  
 უფრო ფართო, უფრო ღირსი  
 მშენებლობა მიდის მისი!..  
 მიდის წინ და მიდის ჩქარა  
 უპ, რამდენი ჩაიყარა  
 საძირკველი!.. საფუძველი!..  
 სულ დაინგრა ყოფა ძველი  
 და ახალმა გასდგა ფესვი:  
 აელვარდა ჯერ „ზაპეტი“,  
 „აბჰესს“ მიჰყვა „რიონჰესი“,  
 თივთ სოფლებსაც ძველი წესი  
 ჩამოშორდა, როგორც ბინდი:  
 პური, ქერი თუ სიმინდი  
 ითვისება სულ სხვა ტემპით,  
 არა ლაბას კავში ვებმით,  
 არა შვინდას ან ნიკორას,  
 არამედ ხნულთ მინდორთ სტორავს  
 ტრაქტორი და რკინის ფარცბი...  
 განიცადა სწორედ მარცხი  
 მენშევიკის ნდობამ, ფუჭემ!  
 ამ ტემპს ველარ ამუხრუჭებს,  
 ველარ ზღუდავს ვერ რა ძალა!..  
 მშენებლობა გაიშალა!  
 და თუ რამე დაიშალა,  
 თუ ვერსად ვერ გაიმშრალა,  
 და ჩაუტყდა ხიდი ყველგან,  
 თუ ჩაუდგა გულში ელდათ,  
 ეს მენშევიკს დაემართა!  
 მას დრომ აღარ გაუმართლა  
 თხზვა სხვადასხვა ვარაუდის,  
 რასაც ახლა სული უდის  
 მოღალატურ გასქელობის!..  
 სამართლიან უნდობლობის  
 იმსახურებს რაც, რომ წყრომას,  
 მათგან, ვინც, რომ სწევს ამ შრომას,  
 ესე იგი, მუშათ მასის,  
 პროლეტარულ მშრომელ კლასის,  
 სასტიკად, რომ შეუტეის  
 რანზინებს თუ კონდრატიევის,  
 თუ გადახრებს იქით - აქეთ  
 „დღურიშნიკულ“ მოქალაქეთ,  
 და სწორი გზით, სწორი ხაზით,  
 მტერს, რომ გულში ავსებს ბრაზით,  
 მშენებლობას თავისას გრძობს!..  
 გულში შიშს თუ ეჭვს არა გრძობს!..  
 და სდგამს შრომის სრა-პალატებს,  
 იგი ადგენს ახლს დატებს,  
 ვით თებერვლის ოცდახუთი,  
 როცა გატყდა ძველი ყუთი  
 და იქიდან ძველადველი  
 გაპნეული, გაფანტული  
 ზღვის ზვირთს მისცა და ბორიოს!..  
 შინ უღლები ღიშ მტკვარს თუ რიონს  
 აცვენინებს თვალით სხივებს:  
 სდგამს ქარხნებს და ქოლექტივებს!..  
**ვაჭირა.**

# ათი წლის თავზე

ნახ. ქოქიაშვილის



მენშევიკი:—დავიღუბეთ, კომუნისტები მართლაც აშენებენ სოციალიზმს!




ავტორანსპორტს პროსპექტებიც ვერ იტევდა.

ბეჭდვის, სიტყვის, კრების ნება ვისაც სურდა

—ყველას ჰქონდათ,— მხოლოდ „აკომპანიმენტად“ ტყვიამფრქვევი გამოჰქონდათ

## გენშევიკურ სამოთხაში

„მობლოური ედისონი“ ბევრი ჰყავდა ჩვენსა მხარეს: მათი ჭკუას „მიღწევებმა“ ჩვენი გული გაახარეს.



„ქლუწოლოგის“ კათედრა ეკუთვნოდათ,—„რეჯული, ხატი!“ აი „მეცნიერების“ და მათ ტეხნიკის ექსპონატი.

„აღადგინეს“ მოძრაობა, „გაუქარვეს“ მგზავრებს სეფდა, ტრამვაის და



ამ ქაბუქსაც კარგად იცნობთ,— უძახობდენ ამბაკოსა, საქმეს „კვაჭდა“ აპარებდა „სპირილონს“ და თამბაქოსა.


მოგახსენეთ: კრების ნება ვისაც სურდა, ჰქონდა „ყველას“. თავისუფლად იმღეროდენ „მშრომელები“ ნანა-ჩელას. „არვის“ აკლდა პურ-მაროლი ხალისი და ბანოვანი სასახლის ბაღს აყრუებდა „მშრომელ. მასის „ტკბილი“ ბანი (და რომ შავ ზღვას არ წაელო ნოვე, შენი კილობანი სასილოსეთ მოვიხმარდით, გმეყოფოდა ერთი ხანი).

ციცხვი.

# სამართლიანი საყვედური

ქართული  
ბიბლიოთეკა

ნახ. ქიქიაშვილის



კულაკი (მენუევიკს):— შე ოხერო, რატომ დამლუბე? ათი წელია მპირდები ამათ დამხოზას... ეხლა მე თვითონ ვარ დამხოზილი და განადგურებული!



# „კვინცი მოსალა ბაუბარჯოსი“

... „და ამიერ - კავკასიის ნა-  
ნგრევებზე, ქალსი, ტანჯვის მიძიმე  
პროცესში იშვა ყრმა —საქართვე-  
ლოს დემოკრატიული რესპუბლიკა.  
ქუჩა ზეიმით მიჰყვება მის დაბადე-  
ბას, თითქოს იგრძნო, რომ ამით  
ხსნა მოელოდა ბედკრულ ქვეყანას.  
და ეს წინათგრძნობა გამართლდა“.  
„შეგვიძლია ვსთქვათ, რომ გენი-  
ალური ნაბიჯი იყო ეს აქტი—და-  
მოუკიდებლობის გამოცხადება. იგი  
მართლაც მისწვდა მიზანს.

ასე შექალაქდებდა მენშევიკების  
ოფიციალური „ერთობა“ საქართველოს  
„დამოუკიდებლობის“ გამოცხადების  
„გენიალურ“ აქტს (იხილეთ „ერთო-  
ბა“ № 115 1918 წელი).

თქვენს მონა - მორჩილს, პატივცე-  
მული მკითხველო, სრულებითაც არ  
მსურს კამათი მენშევიკებთან. მე გა-  
დაწყვეტილი მაქვს კრინტიც არ და-  
ვსძრა ამ „გენიალური“ ნაბიჯის შე-  
საფასებლად.

„ჩვენ შროლოდ კითხვებს და-  
ვსვამთ. პასუხებს კი ისევ „ერთობის“  
ფურცლებიდან ამოვსწერთ სიტყვა-  
სიტყვით.

6

**კითხვა პირველი:** რა მოუტანა  
ამ „გენიალურმა ნაბიჯმა“ საქართვე-  
ლოს? ოოო! ბედნიერება და თურმე  
რანაირი:

„თუ მალე და დროზე არ იქნა  
მიღებული ზომები ამ საფრთხის  
ზრდის შესაჩერებლად, მაშინ, აუ-  
ცილებელია ეკონომიური კრაზი,  
რომელიც ბოლოს მოუღებს საქარ-  
თველოს და მის დამოუკიდებლო-  
ბას. ამ რიგად სასურსათო და ფი-  
ნანსიური კრიზისი, რომელსაც გა-  
ნაცდის დღეს საქართველო, წარმო-  
ადგენს ქართველი ერისათვის უფ-  
რო მეტ საშიშროებას, ვიდრე კარ-  
ზე მომდგარი გარეშე მტერი“ (იხ.  
„ერთობა“, 4 ივლისი 1919 წე-  
ლი).

ხომ ვსთქვი, მე არაფერს ვიტყვი-  
მეთქი. არც ვიტყვი, თუ პატიოსანი  
კაცი ვარ. ან, რა საჭიროა ჩემი ლაპა-  
რაკი...

**კითხვა მეორე:** ხომ ზედმიწევ-  
ნით დამოუკიდებელი იყო საქართვე-  
ლო? ქართველი ხალხი ხომ ბატონ-  
პატრონი იყო თავისივე ბედის? განა  
მტკიცება უნდა ამას?

„საქართველოს მთავრობამ აუ-  
ცილებელ საჭიროებად დაინახა  
ოსმალეთის საწინააღმდეგოდ გერ-  
მანიის ჯარების შემოყვანა საქარ-  
თველოში. გერმანია არ იყო დაინ-  
ტერესებული ოსმალეთის გაბატო-

ნებით ამიერ - კავკასიაში. ამით  
ისარგებლა საქართველომ და ევრო  
პიული სახელმწიფო არჩია აწიურ  
დესპოტიას“.

ესე იგი, ვინც მოვიდა გაუმარჯოს,  
— ასე ამბობდა მენშევიკების ორგა-  
ნო „ერთობა“.  
მაგრამ დავარდა „იშვილებიდან“  
გერმანია. დამარცხდა იგი ომში.

## ბაბაღე და ბაბუსი („ერთობა და კობა“-დან)



**ნ.მ.:** აბა ჩემო რამზეი,  
მაქვს მე დიდი ჭირია.  
ჩამობნელდა რა მზეი,  
შენი შველა მჭირია.

**რამზეი:** მე რა შველა შემიძლია!  
რა ვუყოთ, ვარ პრემიერი.  
შენთან დვინო დამიცილია,  
ბურიც ვჭამე გემრიელი.

**ნ.მ.:** ან ტომაც გთხოვე შველა,  
შენ კი ბრაწი მიყავიო.  
მჭირდებოდი ყოველივეს,  
როცა ჩვენში იყავიო.

**რამზეი:** დაპარება ერთი არის,  
შესრულება კი მეორე.  
დამანებე თავი, ძმაო,  
და მიბრძანდი ვიმეორებ.

**ნ.მ.:** აბა ჩემო რამზეი,  
ჩამობნელდა რა მზეი—  
შენი შველა მჭირია,  
მაქვს მე დიდი ჭირია.

**რამზეი:** გასწი, გასწი, განმშორდო  
გასწი აქედან მალე;  
შენ საჭირო აღარ ხარ,  
გასწი ჩვენო ბაბაღე.

**ნ.მ.:** ფუი მაგ შენს კაცობას,  
გნახავ მეც შენს დამხობას.  
ფუი, ჩვენო ბაბუსი,  
შენ შეგირცხვეს ნამუსი!  
ლახვარი.

„ინგლის - ამერიკის ჯარები შე-  
მოვიდენ ჩვენში. საჭიროა თუ არა  
ვხლა გერმანია მოვიძულეთ და ინ-  
გლისი ვაქოთ?

ჩვენ ვამბობთ: გერმანიამ დი-  
დათ სამსახური გავვიწია, მაგრამ  
ინგლისის შემოხვლაც კარგი სა-  
ქმეა. შეთანხმების სახელმწიფოებ-  
საც შეუძლიათ არა ნაკლები სამსა-  
ხური გუწიონ ჩვენს ქვეყანას...  
ამ შემთხვევაში ისინიც ისეთსავე  
სიმპათიას და სიყვარულს დაიმა-  
ხურებენ ჩვენს თვალში, როგორც  
გერმანულზე დაიმახსურებს“ (იხ.  
„ერთობა“, 12 იანვარი 1919 წე-  
ლი).

ნოკლეთ, ვინც მოვიდა, გაუმარჯო-  
სო, —გაიძახოდენ მენშევიკები და  
ფეხებს ულოკავდენ ინგლისელ გენე-  
რლებს.

„დამოუკიდებლობა“ უკეთესი ღმე-  
რობა შეარცხინოს.

ასეთი „ბედნიერება“ იგემა საქარ-  
თველომ იმ „გენიალური“ აქტის შე-  
მწეობით, რომელსაც ხობტას ასხამდა  
მენშევიკების ორგანო „ერთობა“.

შემდეგ რა ნობდა? მოხდა ის, რაც  
უნდა მომხდარიყო. საქართველოს  
მშრომელმა ხალხმა, გაძარცვულმა და  
გალატაკებულმა მენშევიკების წყა-  
ლობით, გაანთავისუფლა „დამოუკი-  
დებელი“, უკეთ რომ ვსთქვათ დასა-  
ხრიობად ჩამოკიდებული საქართვე-  
ლო.

და დღეს სოციალისტური საბჭოთა  
საქართველო ათი წლის თავის ზეიმს  
იხდის და ძღვევამოსილი მიდის სოცო-  
ალიზმისაკენ.

სამეიჩ - ბენ - შიის.

## პეიგრანსის სრეკლავი

გული ბორგავს, ვერ ისვენებს  
გული ხტუნავს ისე...  
შეკარგება ქამის მალა  
ქრება სიხალისე.  
და საშველი აღარა აქვს  
ჩვენს ხსნასა და შველას,  
გულზე დარდი დახვევია  
ემიგრანტებს ყველას.  
საბჭოების მზე უცხუნებს,  
დასწვა ვეგმა ჩვენი;  
ვერ გშველიან დალოცვილი  
ბრიან-ჩემბეროვნი.  
აღარც ფიქრი მომავალზე,  
აღარც რწმენის ალი,  
უბედური თვე ყოფილა  
თურმე თებერვალი.  
ყირმიზი.

# ლოქინია


(მოქმედება ხწარმოვბს შავი ზღვის პირად. სადაც თავი მოუყრიათ ყოფილებს, და რაღაცას ელიან).

## პოეტი

გამიგონია — მენშევიკთ ჯარი  
ამ მხრისკენ თითქოს რომ წასულიყოს  
და კუდამწვარი, დამუჭრებული  
ათუანკარესთან ის ჩასულიყოს.  
და მიეტანოს იქ ჩვენი ქვეყნის  
წყეია — კრულვა და „მწარე“ ამბავი.



უამბობია — ცით დაუკარგავთ  
„ველურ“ წითლებთან ბრძოლაში თავი;  
შევედრებიან კასიოს, ბრიანს,  
რომ „ეხსნათ“ ტურფა მათი ქვეყანა.  
პუანკარეს კი მათ საპასუხობთ  
ხელში აეღოს პატარა დანა  
და გამოეჭრას იმას დუღუკი,  
რომ მოწყენის დროს სული ჩაბეროს  
და იმის ხმაზე სოც-ლაქიები  
აამღეროს.



## სადაც

ნეტავი შენ, რომ მღერის ხოში გაქვს  
და არ გადარდებს წახდენა ჩვენი;  
ათი წელია მოველი მხსნელებს  
ჩამოგჭენი, როგორც კიტრის ნაფცქვენი.  
კუჭი გამიხმა, შიმშილით კვდები  
გმარხულობ ათი წელიწადია  
ერთი გაძლომა სიზმრად თუ ცხადათ  
აღარ მეღირსა, — გულით მწაღია.  
აღარ მოდიან ჩვენი მხსნელები.  
ლამის დავკარგო იმედი, სასო  
ჩამოვხმი, როგორც ფარტის „სკელეტი“  
და ფოფლიაც ჩამოხმა ტასო.


## ყოფ. თავალი

„კაცს თავს სჭრიდენ და მუწუქს სჯავრობდა“ —  
ისეა საქმე შენი მამო,  
წარსულის მისტირი და ეგონებ ჩვენი  
ხვალის იმედიც არის ამო.  
მათ მოლოდინში ამომძვრა სული

და სულის ნაცვლად ხანჯალი შემრჩა,  
ამ ზღვის ნაპირზე დარის ამოსვლას  
სანამდე უნდა ვუცადოთ ბეჩა.  
ეხ, წვერი მაინც რომ შემრჩენოდა  
ვიარტისტებდი მაინც კინოში  
და ჩვენ ბიჭების „სულის შესანდობს“  
ჩავყოლობდი კახურ ლენინოში.  
გავიპარები საზღვარზე მაინც  
ფული რომ მქონდეს ხვიშტი, — პრაგონი.  
ჩუ, ჰორიზონტზე რაღაც გამოჩნდა...

## ყველანი

— შავი წერტილი...  
— მოდიან, მგონი...



## ყოფ. ვაჭარი

ამოჩნდით, რაღა, კუკლაჯანებო!  
ვემთხვევი მე თქვენს ხომალდის აფრას,  
თქვენ გენაცვალთ „ლაფოჩკა“ ჩემი,  
ახლა მუშკოპის, რომ აკრავს აბრა,  
თქვენ გენაცვალთ „დახოდი“ ჩემი,  
თქვენ შემოგველოთ ეს ჩემი გული,  
ნალოგების და ფინინსპექტორის  
ხელით დამწვარი და დადაგული.

## კულაკი

მე ჰორიზონტზე ვერაფერს ვხედავ.  
წასულებიდან არავინ მოდის.  
ჩემს გულში ბნელა, გამიჩნდა ხველა  
გამითენდება ნირაჟი, როდის.



თავს კოლექტივის აჩოდილი მადგას  
ხმა შემზარავი თავს დამხარხარებს:  
„გამოეთხოვე ქვეყნის წურბელავ,  
სხვის შრომით შიქმნილ ქონებას, ხარებს“.  
უცნობი ძალის რკინის მარჯვენა  
სოციალისტურს აშენებს მხარეს  
და ამ ძალისთვის უცხო ვართ ჩვენა,  
ჩვენც მათთან ყოფნა ვერ გავგახარებს.  
ათი წელია რადიო-ჰორით  
ჩვენ ეიკვებებით, ვით ლეშით ყვავი,  
არვინ მოსულა და არც ვინ მოდის,  
ჩვენ გველოდება უფსკრული შავი.  
(წყალში ვარდება. ყველანი მას მიჰყვებიან).



იქეთ მუშა და გლეხის მათონებმა წაიღო, წაიღო დრომა მზობლის მშობილმა აფერილა.



მეწევიების მთავრობის თას მუშის დიარაილა, წაიღო ხაზის ქონება, ქვეყანა გაატალა.



რა მიწაშივინდ, შრომაზე მუშავეს, შრომად ქვეყნისა, ჩაღდეს სამიხა.




საჭარტილოდან გატანილს კონუნს შიკუნს ხელია, (ოქრო და ვერცხლი ბეჭია, დოღლათი უღვევლო).



მოურჩა ჩვენსა ქვეყანას მერწევიების იარა და დაიწყო უღვევლო რაც წინდ გამოიარა.



მერწევიების მთავრობამ ეგრომა შიშობარა, თაქრო ჰირო-ვარამი აუგვობრებს" გაუშობარა.



განავარსებობით აღმშენებლობას ვეგებთ ქაჩინებს და საღდურებს, ზოგობის ყოფილა მშობილო, აღდეს იფორე აფურებს.

ოცნება თავში უფრინას, იქ, სადაც წინდ ტყე იყო, იმელი აღარ მართლებას, მისს მზარან ცხვირებს და ყურებს.


იჭრეს და კლდერი, ეგობა მახედა, სრიადა, ესა ქვეყანას, ვერებოღს ზღახედა.

ჯიბებ დაიწყო დარღტვა, მზირად უღდბა, თავის ფხანა.

ჩინში მოცეცენ... გზა არ ჩანს, ბოზი მოუღიოთ სგახედა; აღარ იციან თუ რა მჭან, (თავი ინახლენ ქვეხედა).

კაპიტალისტური ჰიინინდან თავის დაღწევა გეწედა, და გეგანტები ამიტომ უნდა აფეოთ, ცხადია.

გამოილა გიგებ და... და აგრესი წააღობს გეგია, ერამანერს ზორინ დაცებენ და "პარტიდინ" გაღობ.



ჩვენ დაბრკოლება არ ვიციოთ, გზას ეგრა შეგეკოვას საფალსა, აფევა მებოლა - საღდორი, კიღვე აფეგები შრავალსა!

დაცარეილა ჯიბე და ვეღარ იცღობან მარგალსა; სრეზენების ფრქვევით უცეცენ ვარსყვალვას ჩამბიავალსა.

კოლეკტივებში სოფლები გაერთიანდენ მჭერათა; უცხად გაღქეცენ ზღელებით და ჩვენს მჭერების შურათა.

ია ქანბანა, (ჯარობან) მჭერათა) ემბით ვეღარბა ამგნად უერთათა).

ვაშენებთ ახალ ქვეყანას მშობილეთა საღდურთა, გუშევი გევიცენ ერგობლი მჭერი არ გაგეყარათა.

ჩვენ თუ გეგებობთ, — ისინი ფრქვევებს წააღობს წყარათა, ქვეყნისა სრულად ტრავაში დაღლი აოქვებს თიროსა.



# სა ლაჩინილი მენაშვილის წერილი „იკ“ გასაულ მენაშვილს

ბედისაგან საბოლოოდ მოძულეობ-  
ლი და ჩვენი ქვეყნიდან სამუდამოდ  
გაბანდურებული... (სახელები გაურ-  
კვეცილია).

სხვებ? რასა იქთ და რაფერ ცხოვ-  
რობთ? რა გიჭირთ ბიძია, მანდ „იმ-  
ნაირი“ სახელები ბლომადა და ლა-  
ქიების ადგილიც ადვილად იშოვებ-  
ბა, მოეწყვეთ კაპიტალის ლაქიებად  
და უფხავთ ფეხებს! ჩვენ ვიკითხოთ,  
აქ დარჩენილმა თქვენთანებმა, რომ  
„დაგენის“ მოლოდინში „აგენის“ სა-  
ჩაგრავედ ვაგებდით თვარა, თქვენ არა-  
ფერი გიშავთ, ძაღლის იღბალი გერ-  
ვათ!

ჰო, აგერ ძაღლზე გამასწავლა: მო-  
მიკითხეთ თქვენი მფარველი და ჩვე-  
ნი იმედი რომის პაპი და პუანკარე, —  
რავე უღროთ გაცოფდა, უთხარი  
არ მოკვდე ბიძია, აგერ ომის სუნი  
ტრიალებს და იმ მოლას ვირის არ  
იყვას. ქე გამოზრუნდებითქვა, — ერ-  
თი კვი მოკითხვა მავ ვარშაველ ნავაზ  
პოლსუდსკისაც მოახსენე და თუ მოა-  
ხერხო, ჩემბერლენი უკოცნელი არ  
დამიტოვო — უთხარი თქვე მამაძა-  
ლილიშვილებო, აგი ათი წელიწადი  
რომ გვატყუებთ და ომს არ იწყებთ,  
რა დაგემაართათქვა? მოდიოთ ბიძია —  
არ გინდათ ნავთი, მარგანეცი, ქვანახ-  
შირი, ჩვენი მუშების და გლეხების  
სისხლითქვა? — ეს ყველაფერი თქვე-  
ნი იქნებათქვა, დეიყვანეთ თქვენი კა-  
პიტალისტები, მთავრუნეთ ჩვენი ვა-  
ჭრები. მემამულეები, თავად-აზნაუ-  
რობა — დახებით, ხალხის საყვლეფად  
და ჩვენც თითო ლაქის ადგილი გვი-  
ბოძეთ მეტს ხომ არაფირს ვთხოვთ-  
თქვა?

მაგი ლაქიობის სტაქი რომ გაქეთ,  
ქე ხედავს მაგენის დასაფხები თვალე-  
ბი და რავე დევიჯერო ვარი გითხრან.  
თუ ჩვენ ამბავს იკითხაეთ, (აქ და-  
რჩენილი თქვენთანებნი ამბავს გეუ-  
ნებნი) ქე ვართ ისეთ: აი ათი წელიწადი  
სულ მასკარადში ვატარებთ  
დროს! — ალბათ იიკვირებთ: ბალ-  
შევიკები ბალ - მასკარადებს მართა-  
ვენო! არა ბიძია, ბალშევიკები კი  
არა, ჩვენ ვმართავთ მასკარადს: —  
დღიან - დამიან სულ წილას ვატა-  
რებთ, აგენტან ვიცინით და თეთრ  
კბილს ვაჩინთ და ილოში კი თქვენი  
სიყვარულის ცეცხლის გვინთია და  
თქვენ რომ გვპირდებით იმას ვე-  
ლით. ამიტომ რაც გაეწყობა უშლით  
ხელს: ბიუროკრატობა და საბოტა-  
ჟი ჩვენი მოგონილია, ზარმაცობა უა-  
სომულიანტობა გვარიანი ვიცით, სა-  
ქმის გაჭიანურება და გულუბრყუა-  
ლო ხალხში ქორების გავრცელება  
ხომ გვემარჯვება და გვემარჯვება,  
აგი კულაკობა და ყოველმხრივ ვებ-

მარებით, გლეხობაში ვცდილობთ  
ხელისუფლების სახელის გატებას —  
და თუეცა არაფერი გამოდის, მარა  
შინც ხელს არ ვაკლებთ, — მავნებ-  
ლობაშიც ძაღლონეს არ ვშურავთ და  
რა ვქნათ მეტი!

იგი ყველაფერი „საბჭოთა ელე-  
მენტის“ სასკით კეთდება და მასკა-  
რადი თუ არა ჩვენი ცხოვრება — ახ-  
ლა თქვენ თქვით რაია!

ამას კი ვიზობთ, მარა აგი შეჩვე-  
ნებულყნი რომ შინც არ მეტყვენ!  
სულ წინ მიდიენ და იზრუნებენ:  
კაი — გაბოლეს ახალი ფაბრიკა-  
ც რხნებას ფუტით და ძიწაა და კან-  
კალი დამართეს მაშინა — დახვების  
გუგუნით! „ცა-ფირუზ ხმელეთ ზურ-  
მუსტო“ რომ იძახდა აკაკი ქავკავა-  
ძე — აგენს კარ წამთ იგი; მაუდის,  
ცემენტის, აბრეშუმის, თუჯის,  
აგურ - კრამიტის, ფერო - მარგანე-  
ცის, ზავეს - რიონგვისისა და ათას  
სხი რ გეზასა, ფაბრიკის, ბოლით იმ-  
ფერი ვახადეს, რავეც ვინახავს კაპ-  
ქანის ძირი!

აგი არაა ერის ლალატი, მამულის  
წასთენა და დემოკრატის გაყიდვა?  
„სულ ძილი-ძილია“, რომ ჩიოდა  
ილია წერეთელი, აღარც იგია ისეთ:  
ძილი კარა, აგენმა რომ ხალხი გააღ-  
ვიძეს რა ვაფხიზლეს, მთელი ევრო-  
პაი რომ ბუღილნიკათ ვადაიქცეს,  
ამფერს რ იზამს! უწინარი კაცი  
აღარაა საქართველოში და უკლასო  
ბაღანაი! თქვენ დროს, რომ ბოსლე-  
ბი და ქოხები იყო, ახლა იმაზე მეტი  
სკოლები, კლუბ-თეატრები, კომპე-  
რატიები და ელექტრონის სტანციე-  
ბია. წიგნებსა და გაზეთებს არ იკით-  
ხათ? მიდღეში რომ გაზეთები და  
წიგნები გამოსულა, ნთლა რომ ეი-  
ლო, იმის მესამედი არაა, აქ რომ  
დღეში წიგნი და გაზეთი გამოდის,  
გააკულტურეს სოფელ-ქვეყანაი და  
იგია! მოსე მწერალი რომ გაცოცხლ-  
დეს კაკალ კაცს ვერ ნახვს მოსატყუ-  
არს და მშვიერი მოკვდება უმუშე-  
ვარი.

მერე კაია აგი? ნინოშვილის წაგ-  
ნში ჩავდებულ კაცს უმუშევრად  
ტოვებენ და აგია უმუშევრობა მო-  
სეთო? მერე მართო ამფერ კაცებს  
ტიებენ უმუშევროთ თუ?

„ნელათ მოლოდავს მოდულდენე  
მტკვარი ანკარაო“, ან „ალაზანი  
მოომარეო“ რომ ჩიოდენ პოეტები —  
საღლა იგი: მიადგენ ამ გათხრეკილ  
მანდარებს, გათხარეს არხები და აგი  
ალაზანიც, რიონიც, მტკვარიც, აბა-  
შაც და ცხენის წყალიც გააშვებს  
შით! რწყვენ მინდვრებს, მოყავენ  
პური სიმინდი, ბაშბა. ჩიო ოა მიდღემ-  
ჩი რომ საქართველოში კაცს არ

დოუთესია, იმფერი კულტურული  
მცეარეები!

„ერთ ბედ ქვეშა ვართ ლაბავ  
მე და შეაო“, ან კიდომ: „გასწაე  
ხარო, გასწიეო“, რომ მღეროდენ,  
თქვენ გგონიათ ასეთა ახლაც? —  
მუუსიეს აი ტრაქტორ - მაშინები  
მინდვრებს და დატიეს ხარ-კამეჩი  
უმუშევრათ! ავა რალაზე უნდა იმღე-  
როს ჩვენმა გლეხმა მამაპაპური გუთ-  
ნური და ურმული?

აგენი კი ყველაფერ ამას, მიღწე-  
ვას ეძახიან!

მამა-პაპა რომ წესებს მისდევდა,  
იგი შესცვალო, მღინარეები კალა-  
პოტიდან ამოაგდო, გუთანი და ურე-  
მი მოსპო, რაცხა ხრიგინა მაშინებს  
გულობიზა! — აგია მიღწევა? მიღ-  
წევა კარა, სამშობლოს გადაგვარე-  
ბაა, მამულის ადათის ლალატი და,  
გადამახინჯებაა, ეროვნული ისტო-  
რიის შელახვაა და იგია!

თფილის არ იტყვით ახლა?

მიდღენ ბოშო, ამ ვიწრო ქუჩებს  
და ნთლა გააპროსპექტეს: აშენებენ  
რაცხა დიდფანჯრებიან სასახლეებს,  
სავადმყოფოებს, ფაბრიკებს და  
ათასგვარ ინსტიტუტ - უნივერსი-  
ტეტებს. შეყავთ მუშები ამ გაჭირა-  
ლებულ სახლებში და აჩვენენ რაცხა  
ახალ ცხოვრებას — რყენიან უბე-  
დურებს. გამურული მუშები თუ სა-  
სახლეებში არ გამომეჭიემენ — დეი-  
ქვა ქვეყანა!

კულტურულ რევოლიუციას ვახ-  
დეთო — თან ჩივიან!

აგი კულტურა კარა, ეროვნული  
ქალაქის დაღუპვაა! ბიჭო, თუ და-  
ვით აღმაშენებელი და ერეკლე მეფე  
კი ეტეოდა ამ ვიწრო ქუჩებში, შენ  
რომ ბოლშევიკი ხარ, ველარ გეეტე  
შიით? მარა ვიცით ბიძია, რაც მუც-  
ლის ტკივილი აქეთ აგენს: უნდებან  
მამაპაპური ყველაფერი მისპოს და  
გადაგვარდეს...

აგერ ახლა ჩვენი დაქცევის და  
აგენის გამარჯვების ათი წლის თა-  
გია და რაც ასეთი რამე გოუკეთე-  
ბენ, ყოლიფერს ცალკე წიგნათ ცე-  
მენ. იშოვეთ მანდ და წვიკითხეთ  
ამათი მიღწევები და მაშინ გეიგებთ  
რავე ანგრევენ ქვეყანას.

ამიტომ ერთი კიდომ შეგვეწვით  
მაქანე პაპს, პუანკარეს — პილ-  
სულსკებსა და სხვა წუწუებს — კულ-  
ტურისა და ცივილიზაციის გადარჩე-  
ნის სახელით ოუტენონ ბოლშევი-  
კებს ომი, თვარა დევილუბეთ და  
იგია!

გწერთ თქვენი აქ დარჩენილი...  
(ხელის მოწერა გაურკვეცილია).  
ასლის გადამღები ფარსადან.

10



# მენშევიკების იუმორი

მენშევიკების მსოფლმხედველობას და ორიენტაციას ნათლად გამოხატავს იმდროინდელი „ემშაკის მათრახი“, რომელიც ერთერთ ნომერში ასეთ ნახატს ათავსებს:



მსკეცლობა. ნატანტარიდან, 26 კილომეტრის მანძილზე გამოჰყავთ წყალსადენი, რომელიც ტფილისს მიაწვდის ყოველდღიურად 7.200.000 ვედრა წყალს სოფლის და გემრიელს. ერთ წელიწადში ეს წყალსადენი დამთავრებული იქნება.




ნატანტარის წყლის მთავარი მილი

ვიდევ ერთი მენშევიკური სიბრძნე. „ემშაკის მათრახი ათავსებს:



კომუნისტი: Митюха, что это за огоньный развешаны на улицах? Тут не без чистоты силы!  
ეს იმ დროს, როცა ტფილისში მენშევიკების ელექტროსადგურები ისე ანათებდნენ, როგორც „ერთი პატარა მანანა, ხან გაიცინებს ხან არა“.



რიონის გვირაბი

კომუნისტებმა აქაც უღალატეს მენშევიკებს. ჩვენს ქვეყანა გაჩირადნებულოა უამრავი ჰიდრო-სადგურებით, ჯერ ერთი არ არის დამთავრებული, რომ მეორეს საძირკველი ეყრება.

ასეთი შეხედულების იყვენ მენშევიკები კომუნისტებზე. მათ არ სწამდათ კომუნისტებისუნარი, შრომა და აღმშენებლობა. მათ არც ეხლა სწამთ (სიბრიყვეში არავინ ეცილება). იქ წასულ მენშევიკებს კი არა, აქ დარჩენილებსაც, აქვე მოთავსებულ „ნაწარმოების“ ავტორებსაც, არა სწამთ, თუმცა ისინი ხედავენ ჩვენს აღმშენებლობას.

რა ვუყოთ, ასეთია მათი ბუნება!

კომუნისტი: მშენიჯრო, მე გამოშყვევ ვაგხწოთ ერთად სოციალიზმის ხამეფოსაკენ.


მოსხლისმ (ე. ი. დენიკინი):—ჩემო ლამაზო, მე გამომოსხლისმ (ე.ი. დენიკინი):— ჩემო ლამაზო ,მე გამომეყვე. ჩემთან იცხოვრებ უზრუნველად და დაურდელად.

მართველი მალი:—თქვენს ქიყანაში ერთი ეველეშაპი ცხოვრობს, სახელად „მკბნარი“, წადით შეებრძოლეთ, ვინც გაიმარჯვებებს, ჩემი ხელიც მას ეკუთვნის.

ასეთი იყო „სოციალისტ“ მენშევიკების პოლიტიკური მსოფლმხედველობა და ორიენტაცია. ისინი სიამოვნებით შეუერთებოდნენ დენიკინს, თუ ეს უკანასკნელი დაამარცხებდა ბოლშევიკებს. (მინისტრი გიიკორიცი კონტრრევოლიუციას ეფიცებოდა: „ჩვენ ერთ წერტილში ვურტყამთ.“) ასე დასცინოდნენ „სოციალისტი“ მენშევიკები ომისაგან გაღატაკებულ ხალხს,რომელიც ვეებერთელა მაშინდელ რუსეთს სწმენდა ყოველგვარი ნაგვისაგან. (მათ შორის მენშევიკებისაგანაც).

მენშევიკები წინასწარმეტყველობდნენ: „ომში არიან ბოლშევიკები ყოჩადები, თორემ აღმშენებლობას რომ შეუდგებთან, კაპუტ მათი საქმე,“-ო.

„ემშაკის მათრახი“ ამის შესახებ ასეთ ნახატებს ათავსებს:



კომუნისტი: С нами крестьянская сила! Тринка, што это? Никтак текет? Из железа вода текет!

ვის არ ახსოვს მენშევიკების „რძის წყალი“, რომელიც გაუწმედლობის გამო მართლაც მღვრია რძეს ჰვავდა და ამ „რძესაც“ „პორციობით“ აწვდიდა მცხოვრებლებს. კომუნისტებმა კი არ გაამართლეს მენშევიკების წინასწარ-



# მენშევიკის სიამაყე

ნახ. ტაბატაძის

## მენშევიკი



12

—ჩვენს დროს რიგი არაფერზე არ იყო!  
—რაზე უნდა ყოფილიყო, როცა თქვენს დროს არა-  
ფერი იშოვებოდა.

## მენშევიკის გოდება

ვახ, წარსული სანეტარო დროება,  
რომ არ მაკლდა ფული და მყუდროება  
ეს ოხერი წელი წელსა მოება,  
აღარა სჩანს, ნოე, ის სათნოება.  
კუჭი მეწვის, შუბლი სევდამ დაღარა  
და უდროვოდ წვერი გამიჭაღარა,  
ტანს ვერ ფარავს ძველის ძველი მაზარა  
ვახ, სიცოცხლე აღარ მინდა აღარა.  
თებერვლო, შენ მოგვწყვიტე წელია,  
გამომგლიჯე თბილი სავარძლია.

# „დაყენეთ სამხელი“

მეორედასო აქცენტი!

როგორ ხარ მაქ, პარიზში, როდის აპირებთ აქეთ წამოსვლას, ან რა ამბავია ენიგრავიაში, რატომ არაფერს იწერები!

თქვენ რა გიჭირთ, ხართ მაქ პუანკარესთან, მე ვიკითხო თვარა, ჩვენ დროს მეც კაცს მიძახდენ, ახლა — უბრალო მოხელე ვარ ერთ — ერთ საბჭოთა დაწესებულებაში. ჯერ აქ წმენდა არ დაიწყებულა, თვარა ამდენ ხანს აქედანაც გამაპანლურებდნენ, ხომ იცი, ეგენი მენშევიკებს ვერ ინელებენ...

მართალია, მე ახლა კი არ ვყვირი, მენშევიკი ვართქვა, მაგრამ ამ შეჩვენებულებმა ალლოს ადებთ იციან და მერე მოგჭამა ჭირი:

სხვაი, რას შვრებით ბიჭო, რავე დაგემართენ რომ პუანკარეს დამბლა დაეცა, მაგი რომ მოკვდეს, რალა გვეშველება, ხომ დაიღუპა საქართველო, ვინლა იხსნისა?

რას შვრებიან ინგლისი და ამერიკა, საფრანგეთი და პოლონეთი, ომს აღარ იწყებენ თუ იცი? ამას წინაღვილადა ამბობდა, შავ ზღვაში უცხოეთის გემია გაჩერებულიო, იქნებ თქვენი გამოგზავნილია და ომიც იწყება? თუ ომი დაიწყეთ, ზარბაზნებთან კარგი მსროლელები იყოლიეთ, რომ პირდაპირ კომუნისტებს დაუმიზნოს, თორემ უპარტიო მენშევიკსაც მოხვდება.

უნდა ვითხრა სიმართლე, რომ ამ ბოლშევიკებს თუ მაქედან არ შეუ-

შალეთ ხელი, პირდაპირ შეასრულებენ ხუთწლედს და იქიდან სოციალიზმამდე, ხომ იცი ორი ნაბიჯია. მერე უკვე გვიან იქნება და მაგ დეტრდინგს უთხარით, თუ რამე სიკეთეს შვრება, დროზე მოგცეთ ფულები და ომიც მალე დაიწყეთ.

თქვენ მაქ ზინართ და არ იცით, თუ რა კეთდება საქართველოში. ამ ათ წელიწადში ბოლშევიკებმა მილად გადააბრუნეს ყველაფერი: ინდუსტრიალიზაცია გინდა, კოლექტივიზაცია გინდა, დარაიონება გინდა, ელექტრო-ფიკაცია გინდა, რა გინდა სულო და გულო აქ რომ არ ტარდებოდეს! თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ბოლშევიკები ამას ჩენი—მენშევიკების ჯიბრზე შვრებიან და ამით სურთ სახელი გაუტეხონ საერთოდ ყველა პარტიებს და უმთავრესად ჩვენ—მენშევიკებს. მუშები გადარიეს, ქვეყანა დამკვრელათ აცხადებს თავს და არის ერთი შეჯიბრება!

მე არ ვიცი როგორია თქვენი გეგმა, მაგრამ მე გიღგენთ შენხვედრ გეგმას, რომლის მიხედვით თქვენ უნდა გააბედვინოთ პილსუდსკის დაიწყოს ომი. გამოაცხადეთ თავი დამკვრელებათ და დაჰკარით ბოლშევიკებს, თვა რა ეგენი კარგს არაფერს უნდადებენ მსოფლიოს.

კაცო, ეგ ეკონომიური კრიზისი რომ ღრმავდება, როგორ მოგივიდათ ეს ამბავი?

შენ იწერები, რომ ევროპა-ამერი-

კის და სხვა ქვეყნების მუშებს და გლეხებს დაეკარგათ მყიდველობითი უნარი. ყიდვას რალა უნარი უნდა, შევიდენ მალაზიაში და იყიდონ. ფული არაა ამერიკაში თუ? რა ვიცი რა, ფორდს ოცი მილიარდი აქვსო და სხვებს რალა ღმერთი გაუწყრათ, თითო მილიონი მაინც იქონიონ ჯიბეში!

ყოველ შემთხვევაში, მეორე ინტერნაციონალის საშუალებით უნდა მიიღოთ ზომები, რომ ეკონომიური კრიზისი შეწყდეს, თორემ მუშები მაქაც მოახდენენ რევოლიუციას და მერე სულ დავიღუპებით.

პირდაპირ მაცხელებს, როცა გავიფიქრებ, რომ შესაძლებელია ევროპა და ამერიკაშიც მოხდეს სოციალისტური რევოლიუცია და ბოლშევიკებმა გაიმარჯვონ! თქვენ იკითხეთ, თორემ მე, რაც არ უნდა იყოს, მაინც ყოფილი მენშევიკი მქვია და ასე თუ ისე, პლატფორმის კაცათ შინცობენ.

ასე ჩემო აქცენტი! კარგათ გაითვალისწინეთ, რომ თუ ინდუსტრიალიზაცია და კოლექტივიზაცია ასე განვითარდა, ჩენი დემოკრატიული საქართველო მოგჭამს ჭირს. ასე გადაეცით პუანკარეს, პრიანს, პილსუდსკის და კაუტცის.

გვარს აღარ ვაწერ, კი მიხვდები ვინც გწერს“.

—:—  
წერილი გადაეგზავნოს „ნიანგს“—  
აღლარ-აღლარსან.

## პროვინციის ამბები

**მეზვიდე თანაშემწე**  
ჭიბიოურა. მუშკოობის გამგეობის თავმჯდომარე დიმიტრის ამ დღეებში დაენიშნება მეზვიდე მოადგილე-სამისო ხარჯები უკვე შეტანილია ბიუჯეტში.

**ჭრიჭინა.**  
**ახალი ხატი**  
ჭოკორტი. აღმასკომის თავმჯდომარემ სალოცავად ძველი ხატების მაგიერ შემოიღო ახალი ხატი, — კულაკის, რომელზედაც ყოველდღე ლოცულობს მათთან ქეიფის შემდეგ. **ნიანკორი.**

**„ცოდვებისაგან“ გაჟმენდილი**  
„მრკ“ (ზესტაფონი). გიორგი სამხარაძე კოლექტივში შესვლის წინ „განიწმინდა“ ყოველი ქონებისაგან

(გაჰყიდა) და სუფთად შევიდა კოლექტივში. **ჩიბი.**

**„მოსე მწერლები“**  
ხუნწი (მარტვილი) „მოსე მწერლის“ მაგიერ (კოლია მონიავა ახლანან მოხსნეს) გორდიდან მოვიდა მეორე „მოსე მწერალი“ დ. რევია, რომელიც უკვე შეუდგა „მოსე მწერლობას“. სტაჟი საქაოდ დიდი აქვს. **ღრბანა.**

**სასწრაფო ახმარება**  
ფარცხანაშენი. კოლმეურნეობის სახადილოს გამგე აკ. კილაძეს ჭამის დროს მუცელში გადაცდა სასადილო 1.500 მანეთი. ფული გაჩხირებულია ყელში. საჭიროა „სასწრაფო დახმარების“ გამოძახება. **ფარცხელი.**

**უბედური შემთხვევა**  
ლიპ გუშინ საღამოს ბოჩია პემა-ნიდან ცხვირმოტეხილი დაბრუნდა. ამჟამად მისი ცხვირი მოთავსებულია საავადმყოფოში. **ტიპ.**


**ახალი სისტემა**  
მალლაკი (ქუთაისი) საექიმო პუნქტის გამგემ გამოიგონა მკურნალობის ახალი სისტემა: აქიმობა მოხვლის დაპირებით. **მარსანა.**

**ფანსების დაკლმება**  
ხუნწი (მარტვილი). სახერხე ქარხნის გამგე ციცხვიამ სამუშაოს ურიგოდ მიღებაზე დააკლო ფასი: თუ წინედ ურიგოდ მიღებისათვის გლეხს ახლევინებდა ორ ბოთლს არაყს, ამჟამად ღებულობს მხოლოდ ერთ ბოთლს. **მრკ.—ვა.**

# ნიანგის მასპირნება


## ეს ხელაია სოფიო ხელაია და ცოფიო

სადგ. ტფილისის ანგარანის თანამშრომელი ქალი, კომპოზისიის წევრი სოფიო ხელაია ორდერებს თანისიანებს უნაწილებს და უყურადღებოდ სტოიკებს მოშა-მოსამსახურებებს. ლიპაძისი.



სოციალმ სოცია: — ბუფეტში ვარ გამისივდა კუჭიო.  
ჩემი ლტოვა ბუფეტისკენ აღარ დარჩა ფუჭიო.  
ჩხუბით ყველა დავაშინე, ხელთ მიჭირავს კობიურო.  
ჩემს გარდუეულს იირას იზამს, თავში სცემონ თუნდაც ურო.  
რას მიჭვია ადგილკომი, ან სხვებისთვის ოოდერიო.  
მირავს ბლომად მოვამზადებ, ერთხელ რაჟი გავმეფერიო.  
\*ადმინისტრაცია

## საქმე ფოსტალიონის არ გავონოთ იოლიო.



ამ აკელმა ითელა ერთი თვე ისე-ირნა ქუთაის-თბილის შორის და ბოლოს ისევე გამგზავნელს (ე.ი. ქუთაისის პროფკავშირებს) დაუბრუნდა შეუღდგი წარუერთი: „ასეთი დაწესებულება (ე.ი. საქართვე. პროფკავშირთა საბჭო, მუშათა სასახლე) ტფილისში არ არსებობს“. (უნდა ითქვას სიმართლე, რომ პაკეტის ერთი თვით მგზავრობა 10 კაპიზე მეტი არ დაბჯდარა).  
ეს კიდეც რაა! ერთმა მოქალაქემ, რომელსაც ფოსტის საშუალებით უღრნალ-გაზეტები ჰქონდა გამოწე-

რილი და ასეთებს არ ლებულობდა, წერილი მისწერა ფოსტას, და, წარმოიდგინეთ, პასუხი ამ შემთხვევაშიაც ისეთივე იყო, როგორც პირველში: „ასეთი დაწესებულება (ე.ი. ფოსტა) არ აღმოჩნდა“, — სწერდა ფოსტა.  
ამგვარად, მართლდება ერთი ბრძენის თქმა: „ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ. არ ვაზროვნებ, მაშასადამე არ ვარსებობ“.

## გაგუა და შვანია აქ ვის ზოუშვანია

სად. ლანჩხუთის უფროსი თანამშრომლები გაგუა და შვანია სიატუ-მატიურად ლოთობენ და ხელიგაობენ.  
ღვინოვ დაფლევ, წყალს არა, ჩხუბს თქვენ გიზამ სხვებს-არა! გამოვა ვალეშილი აკაკი გაგუა სახალილოდან და გასწევს თავისს კაბინეტისაკენ.



— ახლა თუ ვაიყოს ჩხუბი არ ვუტყენი, ავთი გავხდები — ეტყვის ის თავის „პირისპირებს“ შვანიას და ემზადება საჩხობრად.  
— მე უნენ ცხვირი არ მომწონს, უნდა გადისწორო! — აუხირდება რკგზის მუშას და „ცხვირს უსწორებს“ მუშტებით.  
— გინაცვალე სულში, რა ზიჩი ხარ? — აქიბს გაგუას შვანია და ორივე სიმღერით მიდის:  
ჩვენ რად გვინდა კოლექტივი, მას დაეჭვოს კირიო.  
(ერთხელ ამან ქე მანახვა ბნელ საკანის ქერიო).

## ღირებულორ ვენგელია, ჩვენს „ნიანგში“ ვინ გელიან.

ქუთაისის მაულის ფაბრიკის დირექტორი მუშებს უდიდრად ეპყრობა და რევოლუციით აშინებს.  
პატარა ანკესი.


მუშებთან ჩხუბსო ვაპირებ, ღმერთო მიმართე ხელიო.  
უცხად განრისხდა უფროსი, რევოლუციის სტაკა ხელიო, შემოესიენ მუშები რევოლუციის უკრეს ხელიო. ვილაც შეზავე ჩამოღდა შეუქრა ორნივე ხელიო.



ჩამოღვენ მოციქულები არცოტა, უამრავია.  
დაიდვა საღდაც სარდაფში პარიზ-ვერსალოს ზავია.  
(რას არ შესძლებენ მწვადები, და ზედ ხვანჭკარა შავია).  
ასე ამგვარად მიჰურდა ყველასთვის ეს ამბავია.

## ღუღუკი და შინაური, ავუწიოთ სარდის შური.

სად. ფოთის ადგილკომი აღმზინს ტრაციის მიჩანჩალებოთა კულში და ხმის ამოდებას ვერ ბედავდა მუშა-მოსამსახურების სასარგებლოდ. მეში.



გაუსვი და გამოუსვა ვითომ ქიანურიო.  
მუშა მოსამსახურებებს, არ ათხოვო ყურიო.  
ყველას, ვისაც არ მოვსწონვართ, დაგკბენთ როგორც მურიო.  
ჩვენთან პრიძოლით რას გახდება, თუ გვაქვს მათი შურიო ჩემო სარდი გენაცვალე, კავშირი გვაქვს ძმურიო გაუსვი და გამოუსვი, ვითომ ქიანურიო.

# მე-10 ნაღი

(პაროსტინი)

სოციალისტურ აღმშენებლობას  
აუღერებდა კომუნის ქნარი;  
ძუჩა ღროშებით ტყეში იფლობა—  
აწყვეტილ ფრთებით გაჰკივის ქარი!  
რევოლიუციის ნანატრი ძღვეით  
თებერვლის ოცდახუთი გრიალებს;  
მარდის თენების შვებას ვეძლევიტ—  
მღდა ნაკრავი მტერი ღრიალებს!  
ლამაზ რიგებით ქალაქს ამშვენებს—  
მუნება-უტებს მშრომელთა ჯარი;  
სოფელი ახალი წინსვლას აშენებს—  
ბული უსკდებათ კულაკებს ჯავრით!  
პნაცრემლია თვალი ვაჭრისაც—  
სატირალი აქვს ღღეს მღვდელსაც ალბად;  
ახლა რადგანაც მხარობს ის, ვისაც  
ბევრჯერ მოუწყვეს ცხოვრება ყალბად!  
ჭირი ეცვალით გლეხებს საიმედ—  
მრგულთ აჩვენეს ურყევი ნება;  
მს თქმა მუშათა მტერს ხვდა სიაცვდ—  
ბრძოლის ველზე ვერ იტევს ის ვნებას!  
ინდუსტრიალურ ჩვენს გაქანებას—  
საკომპეტურნო მოძრაობით ვრთავთ;  
მემარჯვენეთა აქაქანებას  
მრთ ნაბიჯისაც ნებას არ დავრთავთ!  
ალი მოედო მენშევიკურ სულს—  
თუ რატომ, ვგონებ ყველა მიხედება...  
მგონა ისევ ნახავდა წარსულის—  
წელთა გადავლით საღაც რომ კვდება!  
მწვევა ვისაც ჩენი შეტევა—  
ლაღუმს მიიღებს ზარმცემ პატრუქით;  
ზიანი მათი აქ არ ეტევა—  
მრთმევა ძალა ღენიურ შუქით!  
მივლით კვლავ ასე მრავალ ათ წლებით—  
ამ ურჩ იერიშს არა სწამს დალოა.  
შრომის სამეაოს დაცვად ვეველებით—  
წაელვ დროშებს ავსწვეთ სულ მალდა!

ტარჯან

# გოღოღი

ნ. კინთას (მანინჯაური). თუ ბავშთა სახლის მესვეურთა შორის მიჯნურობას ჰქონდა დავილი და:

„ბლოკნოტში სწერდენ ვინ ვის აკაცა და არშეყობის ჰქონდათ დღიური“, — ეხლა დაჯდენ და წერონ მემუარები, რადგან ბრიგადის ისინი გაუნთავისუფლებიათ „საზოგადო მოღვაწეობისაგან“. იმეღია ახლო ხანში სილოვანი გამოსცემს თავის დღიურებს და მემუარებს.

ი. მიქიელს (ლანჩხუთი) გვწერთ, რომ:

პირვლად კოპერატივში  
ვნახოთ ნოქარი შაღვა,  
რომლის გამოგონიღია  
საქონლის გადამაღვა.

რატომ გგონიათ, რომ კოპერატივიდან საქონლის გადამაღვა გამოგონიღია თქვენი ნოქრის მიერ? ამ გამოგონებისათვის რომ ჯიღლო გამოვაცხადოთ, დაგვერწმუნეთ, უამრავი ნოქრები განაცხადებენ პრეტენზიას პირველად გა მოგონებაზე. ხოლო რაც შეეხება იმას, რომ გადამაღვლი საქონლი თაგვებმა შეუქამესო, მამა უცხონდა იმ თაგვებს; ქურდის ქურდი არ წაწყდება.

ჯგბუტს (ქვიტირი, ხონი) სამკითხველოს შესახებ გვწერთ, რომ:

კარებს ჰკიღია ბოქლომი,  
ძიღშია კულტკოშისია.  
ქარს მიაქვს უურნალ-გაზეთი  
და სახურავი მისია.

თუ კულტკომისიას ბოქლომით დაკეტილ სამკითხველოში სძინავს, გაუღეთ კარები.

კაცებს (ხუნწი, მარტვილი). გლეხკომის შესახებ გვწერთ, რომ:


ვინც შემოვა, ყველას ღანძღავს;  
აღექსანდრე წოწორია;  
უყვარს, ღვინო და გინება,  
რახაც ვამბობ სულ სწორია.

დანარჩენი შემდეგ.

მოკმთის (აქვე) არ გეტყობათ, რომ ჩენი მოკეთე იყოთ. მტერისაც არ დასჯიან ასეთი გრძელი და უშინაარსო წერილის წაკითხვით. ფანქრით (და ისიც ჩვეულებრივი) ნაწირი მასალა არ განიხილება წიანჯის მიერ. სწერედ მოკლეთ და მასალა ყფრო დაამუშავეთ.

## ბავშავიკავის საიგალო „იგაღი“

ნახ. ღონის



# სამეტი წელი სავაჭროზე

ნახ. ნადარეჭვილის



—ამდენი ხანია ვუთვალთვალეთ და არ ჩამოეძინა, რომ თავს დავესხათ!